სრულ ოჯახში და მარტოხელა მშობლის აღზრდილი ბავშვების ფსიქოსომატური სიმპტომები და აგრესიის დონის მაჩვენებლები

ნინო შანშიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2019

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ და/ან გამოსაქვეყნებლად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შანშიაშვილი

24.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N 75 საჯარო სკოლაში ჩატარებულ კვლევას. საკვლევ საკითხს წარმოადგენს „სრულ ოჯახში და მარტოხელა მშობლის აღზრდილი ბავშვის ფსიქოსომატური სიმპტომები და აგრესიის დონის მაჩვენებელი “. ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, დამოკიდებულია თუ არა ბავშვის ფსიქოსომატური სიმპტომები და აგრესიულობა ბავშვის აღზრდაზე სრულ და არასრულ (მარტოხელა მშობელი) ოჯახში. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ავღრიცხე ის მოსწავლეები, რომლებიც მიმართავდნენ ექიმს ამა თუ იმ პრობლემით და ექიმის დახმარებით დავადგინე და ავღრიცხე ფსიქოსომატური ხასითის ჩივილები,რომლითაც ბავშვები მიმართვადნენ ექიმს, მეორე ეტაპზე აგრესიის დონე გამოვიკვლიე იმ ბავშვების მაგალითზე, რომლებიც მიმართავდნენ ექიმს.ამის შემდეგ ბავშვები დავყავი ორ ჯგუფად:სრულ და არასრულ ოჯახში აღზრდილები და ჯგუფების მიხედვით დავამუშავე სიმპტომების სიხშირე და აგრესიის დონის მაჩვენებელი.

ფსიქოსომატური სიმპტომებიდან კვლევაში აღირიცხა: თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი,ფაღარათი,თვალის ტკივილი,ყურის ტკივილი,ყელის ტკივილი,პულსის აჩქარება,ალერგია,წელის ტკივილი,ჰაერის უკმარისობა და კუჭის ტკივილი. კვლევის შედეგების მიხედვით, დადგინდა, რომ მარტოხელა მშობლის მიერ აღზრდილ ბავშვებში უფრო მეტად იყო გამოხატული ფსიქოსომატური სიმპტომები (38.5%), ვიდრე სრულ ოჯახში აღზრდილ ბავშვებში (10. 6%).რაც შეეხება აგრესიულობას, მარტოხელა მშობლის მიერ აღზრდილ ბავშვებს უფრო მეტად აღენიშნებოდათ აგრესიულობა (46.2%) ,ვიდრე სრულ ოჯახში აღზრდილებს (23.4%).

ამგვარად, არასრულ ოჯახში აღზრდილი ბავშვები, სრულ ოჯახში აღზრდილებთან შედარებით, ავლენენ აგრესიის უფრო მაღალ დონეს.

ფსიქოსომატური ხასიათის სიმტომები უფრო ხშირად ვლინდება არასრულ ოჯახში აღზრდილ ბავშვებში, სრულ ოჯახში აღზრდილებთან შედარებით.

ვინაიდან აღნიშნულ სფეროში საქართველოში ჩატარებულ კვლევები ძალიან მცირეა, კვლევის შედეგები გამოსადეგი და ღირებული იქნება ფსიქოლოგების, ფსიქიატრების, ექიმების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირთათვის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: მარტოხელა მშობელი; სრული ოჯახი; ბავშვები; ფსიქოსომატური სიმპტომი; აგრესიის დონე.

Abstract

This work covers the pupils at the Lepel Tbilisi 300 Aragveli Public school No75. Psychosomatic symptoms and the level of aggressions level was studied in children, raised in the nuclear family and single parent family. The aim of the research was to find if the content of the family (nuclear vs single-parent) has an influence on the psychosomatic symptomatology and aggression level in children.

The research was carried out in two phases. I recorded those students who visited doctors with different problems and made a list of their complaints. For the second phase I investigated the level of aggressions among the children who visited doctors. Finally, children were divided into two groups: A: children raised in the nuclear family and B. children raised in single-parent family.

The complaints of children, addressing school doctor were such as: headache, stomach ache, toothache, diarrhoea, eye problems, aching ear, sore throat, peed pulse, contusion, allergy, west pain, shortness of breath and gastric pains.

The percentage of the psychosomatic symptoms in the Group B made up to 38,5%, about 3 times more as compared to the 10.6% in the Group A.

Children raise in single parent family displayed aggression in 46,2% cases, and those, raised in the nuclear family – in 23,4%.

In conclusion: Children raised in the single parent family display aggression and psychosomatic symptoms much frequently as compared to classmates, raised in nuclear family.

Because there are very few studies in this field in Georgia, the research and the recommendations would be useful and valuable for psychologists, psysicians, parents or others interested in this sphere.

keywords: single-parent, nuclear family, children, psychosomatic symptoms, aggression level

მადლობა

მადლობას ვუხდი მალხაზ მაყაშვილს, ჩემს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს. მისი რჩევები და რეკომენდაციები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო იყო.

ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ბატონ ივანე კეჭაყმაძეს, მონაცემების დამუშავებაში გაწეული დახმარებისათვის.

სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N 75 საჯარო სკოლის პედაგოგებს და ექიმს, რომლებიც დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით ჩაერთვნენ კვლევაში.